

შპს „ნიკე 2009“

სააღრიცხვო პოლიტიკა და აფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2024წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

1. ზოგადინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, გორის საგადასახადო ინსპექცია ხაშურის მუნიციპალიტეტი 13,02,2008წ ს/ნ 243916615 კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.ხაშური იმერეთის ქ. #143, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ღონდაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/ნ 57001006994. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურაქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასზე ნაკლებია, მინიმალურისა იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის

დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებული ამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე

ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

- ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში	23741.61	59351.7
ფული საბანკო ანგარიშებზე	8281.65	100349.41
სულ ჯამი	32023.26	159701.11

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 1	969139.36	909507.4
არარეზიდენტ. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8042.69	8181.37
მოთხოვნები ბინების მიწოდებიდან	332447.2	332447.2
სულ ჯამი	1309629.25	1250136

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
სასაძენო--მატერიალური მარაგი	2145330	2144891
სულ ჯამი	2145330	2144891

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2024	387678	664167	49353	42582	84725	200729	1429234
დამატება		909950	551		22834		
გასვლა	25000						
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	362678	1574117	49904	42582	107559	200729	2337569

ცვეთა

ბალანსი 01 იანვარი 2024		286507	44020	42582	18356	183044	574509
2024 წლის ღარიცხული ცვეთა		108488	1353.44	0	16944.9	2454	129240
გასვლა							
ბალანსი 31 დეკემბერი 2024		394995	45373.44	42582	35300.9	185498	703749
ნარჩენი ღირებულება							
01.იანვარი 2024		377660	5333	0	66369	17683	467045
31 დეკემბერი 2024წ		1179122	4531	0	72258.1	15231	1271142

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	546893.53	506845.04
არარეზიდენტი მომწ. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	49288.82	89268.79
მშენებლობის ავანსი	116602.89	179380.92
სულ ჯამი	712785	775495

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
	31.12.2024	31.12.2023
გადასახდელი ხელფასები	640712.3	560879.61
სულ ჯამი	640712.3	560879.61

11. სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
	31.12.2024	31.12.2023
მოკლევადიანი სესხები	2621177.24	2125908.26
სულ ჯამი	2621177.24	2125908.26

12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები		
	31.12.2024	31.12.2023
სხვა ვალდებულებები	106968	76402.14
სულ ჯამი	106967.6	76402.14

13. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	31.12.2024	31.12.2023
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	1472042.36	1303652.03

დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
სულ ჯამი	1472042.36	1303652.03

14. საქონლიდან გაყიდვები

საქონლის გაყიდვიდან		
	31.12.2024	31.12.2023
საოპერაციო შემოსავლები	8485610	8284055.1
სულ ჯამი	8485610	8284055

15. რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება		
	31.12.2024	31.12.2023
გაყიდვების თვითირებულება	7 114 140	6 941 155
	7114140	6941155

16. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი		
	31.12.2024	31.12.2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	43416	7 468
სულ ჯამი	43416	7468

17. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	397211	360 570
სულ ჯამი	397211	360570

18. ცვეთა-ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია		
	31.12.2024	31.12.2023
ცვეთა და ამორტიზაცია	129240.6	86002.87
<i>სულ ჯამი</i>	129241	86002.87

19. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

საპროცენტო ხარჯი :		
	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო ხარჯები	285705.71	282583.64
<i>სულ ჯამი</i>	285706	282584

20. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი		
	31.12.2024	31.12.2023
საიჯარო ძირა	90000	90000
<i>სულ ჯამი</i>	90000	90000

21. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე საექსპლუატაციო რემონტის ხარჯი	67447.63	73394.52
სხვა საოპერაციო ხარჯები	5950.44	7859.08
სოციალური ღანარიცხები	6679.85	6717.51
საოფისე ხარჯი	2674.1	2273.18
სამეურნეო ხარჯი	5798.17	5322.1
ტრანსპორტის დაზღვევა საერთაშორისო		573.84
საწვავის ხარჯი	70873.15	91145.69
მივლინების ხარჯი	28174.28	42446.41
საკონსულტაციო ხარჯები	2245.76	6058.47
სხვა საგადასახადო ხარჯი	10664.06	8377.33
ბანკის მომსახურების ხარჯი	31229.86	26516.42
სხვა საერთო ხარჯი	58289	49082.45

სულ ჯამი	290026.3	319767
----------	----------	--------

22. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2024 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	31.12.2024	31.12.2023
დადებითი საკურსო სხვაობა	29215	4452.46
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-27541.12	-18026.09
სულ ჯამი	1674	-13574

23. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	31.12.2024	31.12.2023
სსკ-თ გამოშვებითავე ხარჯი	25097.43	209723.69
სულ ჯამი	25097	209723.69

24. სანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2025 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ლონდაძე:



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

ფინანსური მდგომარეობა 2024წ

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	32 023	159 701
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 309 629	1 250 136
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0		
მარაგები	7	2 145 330	2 144 891
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	0		
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	0		
ძირითადი საშუალებები	8	2 066 702	1 287 608
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		5 553 684.74	4 842 337

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9	712 785	775 495
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	640 712	560 880
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	2 621 177	2 125 908
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	12	106 968	76 402
სულ ვალდებულებები		4 081 642	3 538 685


საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (ძმს-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	13	1 472 042	1 303 652

გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	0		
სულ საკუთარი კაპიტალი		1 472 042	1 303 652
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5 553 684.74	4 842 337

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონდაძე

მთავარი ბუღალტერი

ნ.პაპუაშვილი



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2024წ

ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	14	8 485 610	8 284 055
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(7 114 140)	(6 941 555)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1 371 470	1 342 500

სხვა შემოსავალი	16	43 416	7 468
დასაქმებულთა ანაზღაურება	17	(397 211)	(360 570)
ცვეთა და ამორტიზაცია	18	(129 241)	(86 003)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	19	(285 706)	(282 584)
იჯარის ხარჯი	20	(90 000)	(90 000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	21	(290 026)	(319 667)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 148 767)	(1 131 455)

საოპერაციო მოგება		222 703	211 444
-------------------	--	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	22	(29 215)	(18 026)
მიღებული დივიდენდები			

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	23	(25 097)	(209 724)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(168 390)	(16 305)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(168 390)	(16 305)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(168 390)	(16 305)

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1 319 957	1 320 345
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			(88)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 319 957	1 319 957

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონღაძე

მთავარი ბუღალტერი ნ.პაპუაშვილი

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2024წ

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		531 059	541 153
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(658 737)	(570 184)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(127 678)	(29 331)
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		159 701	189 032
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		32 023	159 701

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონღაძე

მთავარი ბუღალტერი ნ.პაპუაშვილი